

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2011 წლის 27 სექტემბრის

დადგენილება № 532

პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ელექტრონული  
რეგისტრაციის წესის მოთხოვნათა  
შეუსრულებლობა/დარღვევისათვის  
დისციპლინური ღონისძიებების (სახდელის)  
განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

აკადემიური საბჭოს 2010 წლის 20 სექტემბრის №312 დადგენილებით შემოღებულ  
იქნა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული  
სისტემა. ამავე დადგენილებით განისაზღვრა ელექტრონული რეგისტრაციის  
წესის შეუსრულებლობისათვის კონკრეტულ შემთხვევებში გასატარებელი  
დისციპლინური ღონისძიების (სახდელის) სახეები. იმ გარემოების  
გათვალისწინებით, რომ რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის უხარვეზოდ  
დანერგვას და აპრობაციას გარკვეული დრო დასჭირდა, აკადემიური საბჭოს  
სსენებული დადგენილების მოქმედების დაწყება 2010 წლის 20 სექტემბრიდან  
გამოიწვევს არაზუსტი მონაცემების საფუძველზე პროფესორ-მასწავლებელთა  
მიმართ დისციპლინური ღონისძიებების (სახდელის) გატარებას, რაც  
თავისთავად ეწინააღმდეგება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მიზნებს.

1. დისციპლინურმა კომისიამ სემესტრის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ  
განიხილოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ელექტრონული  
რეგისტრაციის წესის მოთხოვნათა შეუსრულებლობა/დარღვევის შესახებ  
ელექტრონული სისტემის მიერ აღრიცხული ინფორმაცია;
  2. პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მეცადინეობის (ლექცია-სემინარის)  
გაცდენის შემთხვევაში დაწესებულ იქნეს შემდეგი სახის დისციპლინური  
ღონისძიებები (სახდელები):
- შესამოწმებელი პერიოდისათვის, პროფესორ-მასწავლებლის მიერ, არსებული  
დატვირთვის 10%-მდე არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში – გაფრთხილება;

- შესამოწმებელი პერიოდისათვის, პროფესორ-მასწავლებლის მიერ, არსებული დატვირთვის 10%-დან – 20%-მდე არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში – საყვედური;
  - შესამოწმებელი პერიოდისათვის, პროფესორ-მასწავლებლის მიერ, არსებული დატვირთვის 20%-ს ზემოთ არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში – შრომითი ხელშეკრულების მოშლა;
3. დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში გაცდენილი მეცადინეობებისათვის ანაზღაურება არ გაიცეს, ხოლო ჩანაცვლების შემთხვევაში ანაზღაურება გაიცეს ჩამნაცვლებელი პედაგოგის სასარგებლოდ ჩატარებული საათების შესაბამისად;
  4. დისციპლინური ღონისძიების (სახდელის) მოქმედების ვადა განისაზღვროს ერთი სასწავლო წლით. ვადის გასვლის შემდეგ დისციპლინური ღონისძიება იხსნება. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ღონისძიების (სახდელის) მოქმედების ვადაში პროფესორ-მასწავლებლის მიერ განმეორდება არასაპატიოდ მეცადინეობის გაცდენა, გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისად უფრო მკაცრი დისციპლინური ღონისძიების (სახდელის) გამოყენება;
  5. მეცადინეობის გაცდენის შემთხვევაში სათანადო პროფესორ-მასწავლებლით ჩანაცვლებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფაკულტეტის დეკანს.
  6. სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის მიერ 2010-2011 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის ბოლო ექვსი კვირის არსებული მონაცემების განხილვა მოხდეს მათი სანალიზის საფუძველზე;
  7. წინამდებარე დადგენილება ამოქმედდეს 2011-2012 სასწავლო წლის დაწყებიდან;
  8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 20 სექტემბრის №312 დადგენილების მე-3 პუნქტი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე